ხელშეკრულება №68

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ქ. წყალტუბო ,,5–სექტემბერი 2016 წელი ''

ერთი მხრივ ა(ა)ი.პ. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ,,საბავშვო ბაღების გაერთიანებ''-ის(შემდგომში ,,შემსყიდველი'') წარმოდგენილი მისი მმართველის გიორგი იობიძის სახით და მეორე მხრივ ი/მ მაია ქუთათელაძე ს/კ 53001021725 (შემდგომში „მიმწოდებელი") წარმოდგენილი მაია ქუთათელაძის სახით , ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1 პუნქტის ,,ს[1]" ქვეპუნქტის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანებით დამტკიცებული ,,გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის შესახებ'' მე-5 მუხლის ,,ა'' ქვეპუნქტის შესაბამისად , გამარტივებული შესყიდვის ფორმით დებენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" - თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე", „კვირა", „თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურეობის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1კლასიფიკატორის კოდი (30100000)

2.2 შესყიდვის ობიექტი დანართი ერთის შესაბამისად

3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 350(სამასორმოცდაათი)ლარს.

3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში.

4.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურეობის მიწოდების შემდეგ, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე.

4.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ფაქტიერად გაწეული მომსახურეობის საფუძველზე , შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის წარდგენიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

5. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

.1.მომსახურება ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ გაწეული მომსახურეობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის გაფორმების შემდეგ.

6. მომსახურების მიწოდების ადგილი და ვადა .

6.1. მომსახურების მიწოდება განხორციელდება შემსყიდველის მიერ მითითებულ მისამართზე ვაჟაფშაველას #1.

6.2. მომსახურების მიწოდება განხორციელდება 2017 წლის 5 სექტემბრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

7. მხარეთა უფლება–მოვალეობები

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა ინსპექტირება.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

7.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მოსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს მოსახურება სათანადო ხარისხით.

8. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

8.1. შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს კონტროლი (ინსპექტირება), რომლის მიზანია მოსახურების შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.

9.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 20 (ოც) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

9.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ფორს–მაჟორი

10.1ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების

შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების

შეუსრულებლობა არის ფორს–მაჟორული გარემოებების შედეგი.

10.2 ამ მუხლის მიზნებისათვის ,,ფორს–მაჟორი'' ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებბს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულიშემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი.ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრუსლების შეწყვეტა

11.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

11.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

11.4 მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 11.3 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ

11.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლო სსაქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2018 წლის 2 თებერვლამდე.

მხარეთაიურიდიულიმისამართები

შემსყიდველი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტი ,,საბავშვო ბაღების

გაერთიანება"
მის: ქ.წყალტუბო, ვაჟა ფშაველას №1
ს/ნ 221281636
ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური

ბანკის კოდი: TRESGE22
744977509
Tskaltubosbagebi@gmail.com
საკონტაქტო ნომერი: 577 37 57 01
,,საბავშვო ბაღების გაერთიანებ"-ის
599 78 48 75

მმართველი: გიორგი ბობიძე.

შემსრულებელი

ი/მ ,,მაია ქუთათელაძე"

მისამართი: ქ.წყალტუბო დედაენის ქ. №9

ს/ნ53001021725
ბანკი: ს.ს ,,საქართველოს ბანკი"
ბანკის კოდი: BAGAGE22
ანგარიშის ნომერი:
GE18BG0000000182754500

პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:

წარმომადგენელი: მაია ქუთათელაძე

ა(ა) ი.პ. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ,,საბავშვო ბაღების გაერთიანება''

დანართი 1

N	ნივთის დასახელება	რაოდენობა
1	გამომთვლელი მანქანა	3 ცალი
2	სტეპლერები	6 ცალი
3	ფერადი ფურცლები	54 ცალი

მმართველი: გიორგი იობიძე

ი/მ მაია ქუთათელაძე